ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №38

5 თებერვალი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (იჯარა)

საჯარო აუქციონის ფორმით გაცემის შესახებ

,,ჩოხატაურის თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 3 წლის ვადით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემის მიზნით, გამოტანილი იქნას საჯარო აუქციონზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაბეღლავში მდებარე შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.22.22.001) პირველ სართულზე არსებული 36.4 კვ.მ. და 39.2 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი.
2. დამტკიცდეს აუქციონის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართის შესაბამისად.
3. აუქციონის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნას გაზეთ ,,24 საათში“ და ადგილობრივ პრესაში.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*

დანართი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 3 წლის ვადით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემის თაობაზე

№	ობიექტის დასახელება და მისამართი	საწყისი წლიური საიჯარო ქირა	,,ბე" (ლარი)	,,ბიჯი" (ლარი) 10%	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი
1	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაბეღლავში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 36.4 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი	564	141	56	20	28.22.22.001
2	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაბეღლავში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 39.2 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი	608	153	61	20	28.22.22.001

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10:00 საათიდან 17:00 საათამდე (აუქციონის ჩატარების დღეს 10:00 საათიდან 13:00 საათამდე) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, სააუქციონო კომისიაში (წერეთლის ქ. N-2).

აუქციონში მონაწილეობის მსურველი აუქციონის ორგანიზატორს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებულ განაცხადს;
2. ,,ბე'-ს და მონაწილის ბილეთის თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებს;
3. ფიზიკური პირები - პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ხოლო იურიდიული პირები ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.
4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური საწყისი წლიური საიჯარო ქირის შემოთავაზება.
6. აუქციონში დამარცხებულს ,,ბე" უკან უბრუნდება.

,,ბე" შეტანილი უნდა იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიშზე:

ბანკის კოდი LBRGE22, ანგარიშის ნომერი GE11LB0120133210302000, საიდენტიფიკაციო კოდი 242008705;

აუქციონის მონაწილის ბილეთის თანხა შეტანილი უნდა იქნეს ანგარიშზე: 300653282;

აუქციონი ჩატარდება 2013 წლის 18 თებერვალს 15:30 საათზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სააუქციონო კომისიას მისამართზე: დ. ჩოხატაური, წერეთლის ქ. N-2, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა ტელ: **577 959775; 577 957030; 577 954390.**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა